ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲗᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Კ-ᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

№ 124 (5225) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1938 ᬋ. | ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲐᲮ:

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐ (ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ)

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ V ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ)

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲐᲐ. ᲬᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ (ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲥᲚᲝᲮᲘᲠ ᲮᲐᲚᲮᲘ“ — ᲑᲔᲚᲔᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)

ᲩᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲔᲠᲢᲔᲜ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲔ-14 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐᲡ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐ

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისაკენ ზეიმით მიდის სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა. ამ ზეიმისათვის კიდეც არის საფუძველი: ლენინ-სტალინის პარტიამ ჩვენს ახალგაზრდობას შეუქმნა ცხოვრების, ზრდის, განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალების დაუფლების შესანიშნავი პირობები. პარტიამ ახალგაზრდობის წინაშე გადაშალა სამშობლოსათვის მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. პარტიამ ჩვენს ახალგაზრდობას მიანიჭა ისეთი უფლებები, რომლის მსგავსიც ყაცობრიობის მთელს ისტორიაში არც ერთ სხვა ახალგაზრდა თაობას არ ჰქონია და კაპიტალისტურ მსოფლიოში არც ახლა აქვს. აი რატომ მიდის ჩვენი ახალგაზრდობა ზეიმით არჩევნებზე.

პარტიამ ათიათასობით ახალგაზრდები დააწინაურა, დააყენა უმნიშვნელოვანეს პარტიულ, სახელმწიფოებრივ და სამეურნეო პოსტებზე. პარტიამ, მთელ ხალხთან ერთად, რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენა სოციალიზმის საქმისადმი ერთგული ახალგაზრდა ადამიანები, სტალინური მზის ქვეშ გაზრდილნი და დავაჟკაცებულნი! აი რატომ მიდის ახალგაზრდობა ზეიმით არჩევნებზე.

ნინო აგაშენაშვილი—თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი ქალია. მას ახლა შეუსრულდა 18 წელი. ფაბრიკის მუშებმა და მშრომელთა სხვა მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ის ერთხმად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ხოლო თბილისის ჩუღურეთის № 29 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა სეფურე ჭიქავა—კოლმეურნე სტახანოველი ქალია. ის დაბადებულია 1919 წელს, არის კომკავშირელი. მისი კანდიდატურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრირებულია ბათუმის № 222 საარჩევნო ოლქში. რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად აგრეთვე რეგისტრირებულია არიან ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდები: ალექსანდრა ბურდული, ჟონა ცილაძე, ტრიფონ თევდორაძე, ნატალია წიკლაური, თამარ ძაძამია და სხვ. რა მოელოდათ ამ ახალგაზრდებს წინათ—მემამულე-კაპიტალისტთა ხელისუფლების დროს? ის, რაც მათს მამებს და დედებს—ლუკმაპურისათვის ბრძოლა, ნახევრად მშიერი არსებობა, უმუშევრობა, მონური შრომა, უუფლებობა და დაღუპვა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მათ ბედნიერი ცხოვრება და გახადა საყოველთაო პატივისცემის ღირსი. აი რატომ მიდის ახალგაზრდობა ზეიმით არჩევნებზე.

სიამაყისა და უსაზღვრო სიხარულის გრძნობით ავსებს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის გულს ის დიდი ნდობა და პატივისცემა, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი იჩენს ახალგაზრდობისადმი. ეს ნდობა და პატივისცემა უდიდეს მოვალეობასაც აკისრებს ლენინურ კომკავშირს. კომკავშირი განუწყვეტლივ, ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდეს, მზრუნველობითა და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს დეპუტატობის ახალგაზრდა კანდიდატებს. კომკავშირმა საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ არჩევნებში ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველმა მიიღოს მონაწილეობა, ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველმა ერთსულოვნად მისცეს ხმა პარტიულთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

როგორ უნდა მივაღწიოთ ამას?

უპირველეს ყოვლისა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით. საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმა 15 ათასი აგიტატორი გამოჰყვეს. მათი დიდი უმრავლესობა შესანიშნავად ასრულებს თავის მოვალეობას. კომკავშირელმა მარო ჭელიძემ (თბილისი, ლენინის № 11 საარჩევნო ოლქი) დიასახლისთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. საუკეთესოდ მუშაობენ თბილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის კომკავშირელი აგიტატორები ვ. გაბუნია, ლოლაძე, რიბაკოვი და სხვ. ასეთი მაგალითების მოყვანა ათასობით შეიძლება. მაგრამ ისეთი ფაქტებიც ბევრია, როცა კომკავშირელი აგიტატორები ზერელედ ეკიდებიან საქმეს, არ ემზადებიან თვითონ, შლიან წრეების მეცადინეობას და სხვ. გარდა ამისა, აგიტატორები ხშირად გატაცებული არიან არჩევნების ტექნიკის ახსნით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სტალინური კონსტიტუციის პრინციპული მნიშვნელობის განმარტებას.

საჭიროა არჩევნებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, აღმოვფხვრათ აგიტატორთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად გავაფართოვოთ აგიტატორთა რიგები. აუცილებელი არ არის უსათუოდ კრებაზე, წრის მეცადინეობაზე გასწიო აგიტაცია. კლუბში, კინოში, სტადიონზე, კერძო საუბარში თვითეული კომკავშირელი უნდა იყოს კარგი აგიტატორი. ყველა ამომრჩეველს უნდა გავაცნოთ სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით არის მიღწეული. ყველა ამომრჩეველს დაწვრილებით უნდა გავაცნოთ თავისი ოლქის დეპუტატობის კანდიდატი, ვუამბოთ იმის შესახებ, თუ რით დაიმსახურა მან პარტიისა და ხალხის ნდობა.

შემდეგ, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ საარჩევნო უბნების ტექნიკურად მოხერხებულად და პორტრეტებით, პლაკატებით, ლოზუნგებით ლამაზად მოწყობას. საარჩევნო უბანი შორიდანვე უნდა იცნობოდეს. კიდევ და კიდევ შეგამოწმოთ ამომრჩეველთა სიები. სიის გარეშე არ დაეტევოთ არცერთი ამომრჩეველი. გავასწოროთ სიებში დაშვებული ყველა შეცდომა,—აი კიდევ რაზე უნდა იზრუნოს კომკავშირმა და ახალგაზრდობამ.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას არჩევნებისათვის მზადების საქმეში სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ბევრგან, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არის, კომკავშირმა უნდა გასწიოს ამ საქმეში პარტორგანიზაციის მაგივრობა. ამიტომ საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერებაც სოფლის კომკავშირისადმი.

მთელ თავის მუშაობაში კომკავშირის ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს კავშირგარეშე ახალგაზრდობასთან მტკიცე, ურყევი კავშირის პრინციპით. კომკავშირმა კავშირგარეშე ახალგაზრდობა უნდა ჩააბას აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში, გამოიყენოს საუკეთესონი აგიტატორებად, ჩააბას საარჩევნო უბნების მოწყობაში და სხვ. კომკავშირი ყოველთვის უნდა იყოს ახალგაზრდობასთან ერთად, ახალგაზრდობის სათავეში.

საბჭოთა ახალგაზრდობამ დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე გასული წლის 12 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს, პარტიულთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით. ახლაც, 12 ივნისს, ორდენოსანი საქართველოს ახალგაზრდობა, მიეგება საარჩევნო ყუთებთან, თან მიიტანს ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულს, მისცემს ხმას ჩვენი ქვეყნის აყვავებას, კომუნიზმის გამარჯვებას.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **მ. ბ. ხრაპჩენკო** დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ XVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გახსნა მოხდება 1938 წლის 3 ივნისს, საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში, კომინტერნის ქ. № 5.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. საქართველოს ქ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი — ამხ. **ლ. პ. ბერია**).
2. საქართველოს ქ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საარჩევნო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი — ამხ. **გ. ელისაბედაშვილი**)
3. არჩევნები.

საქართველოს ქ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი — **ლ. ბერია.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ XVII ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ.

თბილისის XVII საქალაქო პარტკონფერენციის დელეგატებს მანდატები მიეცემათ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბინაზე:

1 ივნისს დღის 10-დან 4 საათამდე, საღამოს 8-დან 12 საათამდე

2 ივნისს დილის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 9-დან 12 საათამდე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ. ᲞᲐ. (ᲑᲝ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ V ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Ი. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში,—ამბობს ამხ. ჟდანოვი, — განსაზღვრებოდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმების დადგენილებებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის წინაშე დააყენა საკითხი პარტიულ მუშაობაში დიდ ნაკლოვანებათა და ტროცკისტ და სხვა ორგულთა ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. ამხანაგ სტალინის მოხსენება არის მთელი ჩვენი მუშაობის, მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამა.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველნაირად გააძლიეროს ყურადღება სამშენებლო ორგანოების მუშაობისადმი, განსაკუთრებით იმ ორგანოების მუშაობისადმი, რომელთაც დავალებული აქვთ საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

შემდეგ ამხ. ჟდანოვი აყენებს ვაჭრობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სერიოზულ პრობლემებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაეუახლოვოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება უშუალოდ მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილს. შევქმნათ მომხმარებელთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები.

— პარტია და მთავრობა,—ამბობს ამხ. უგაროვი,—ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, რათა ფართო მშრომელი მასების ცხოვრება გახდეს უფრო უკეთესი, უფრო კულტურული, უფრო შეძლებული, რათა ადამიანები ცხოვრობდნენ უფრო მდიდრად, რათა მოსახლეობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნას სასებით და ყოველმხრივ.

საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებული სისრულით არის გაშუქებული პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის საკითხები.

— არავითარი სამეურნეო წარმატება არ იქნება მტკიცე,—სთქვა ამხ. უგაროვმა,—თუ ჩვენ დავიწყებას მივცემთ პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობას. ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ - მარტის პლენუმზე აშკარწყურავად დაგვანახვა, რომ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის.

მოსკოვის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გასულ წელს ცოტა რამ როდი გააკეთა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა პარტიულ მუშაობაში ის ნაკლოვანებანი, რომელთა შესახებაც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებებში. მოსკოვის ბოლშევიკებმა გააძლიერეს რევოლუციური სიფხიზლე, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს პოლიტიკურ უდარდელობასთან ბრძოლაში და შესძლეს აღმოეფხვრათ შინაპარტიული დემოკრატიის უაღრესად უხეში დამახინჯებანი. IV საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა იმ მხრივ, რომ გაგვეწმინდა პარტიული ორგანიზაცია ფაშიზმის ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტებისაგან და მოგვეხდინა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში.

სწვდებდა რა თავის რიგებს ხალხის მტრებისაგან, მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციამ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე წამოაყენა ახალი, ლენინ-სტალინის საქმის ერთგული კადრები. ერთი წლის განმავლობაში დაწინაურებულია 1.128 ამხანაგი: პარტკომების მდივნებად—695, მოსკოვის რაიკომების განყოფილებათა გამგეებად და ინსტრუქტორებად—251, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად და ინსტრუქტორებად — 44, სხვა მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებში წამოყენებულია 96 მუშაკი და სხვ.

საანგარიშო - საარჩევნო პარტიულმა კრებებმა გვიჩვენეს, რომ ახალმა კადრებმა ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანები, ღირსეულად ჩაბარეს გამოცდა — წარმატებით გაიარეს „შემოწმება ქვემოდან“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალი დადებითი მოვლენა — პარტიულ ხელმძღვანელობაში მიზიდულია ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მნიშვნელოვანი რიცხვი.

შემდეგ ამხ. უგაროვი ალაპარაკობს პარტიული კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი უზრუნველჰყო წამოყენებულ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებების ყოველმხრივი და გულმოდგინე შემოწმება.

დიდი მნიშვნელობა აქვს, ამბობს ამხ. უგაროვი, მუშაობის ისეთ უბანს, როგორიცაა პარტიის ახალ წევრთა მიღება.

საანგარიშო პერიოდში მოსკოვში საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიღებულია 8.614 კაცი და პარტიის წევრებად გადაყვანილია 5.583 კანდიდატი. პარტიაში მიღება განსაკუთრებით გამოცოცხლდა გასული წლის დამლევს და მომდინარე წლის პირველ თვეებში. პარტიაში ღებულობენ საუკეთესო, მოწინავე უპარტიო აქტივისტებს. რაიკომებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ფაქტიურად ჯერ კიდევ არ განუახლებიათ პარტიაში მიღება.

განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ პარტიული პროპაგანდის მიმართ. ჩვენი ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიული ხელმძღვანელები ნაკლებად სწვდებოდნენ პროპაგანდის შინაარსს და კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ წრეების დაკომპლექტებითა და მეცადინეობის აღრიცხვით. არანორმალურია ის გარემოება, რომ ხშირად პროპაგანდა ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან მუშაკთა გამგებლობაში რჩება. პარტიული ხელმძღვანელები — რაიკომების მდივნები და პარტკომების მდივნები, როგორც წესი, არ ეწევიან პროპაგანდისტულ მუშაობას და არ სწვდებიან მის შინაარსს.

დასასრულ ამხ. უგაროვი ლაპარაკობს ფართო მასობრივ - პოლიტიკურ ღონისძიებათა გაშლაზე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

29 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲦᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

29 მაისს მოსკოვის V საქალაქო პარტიული კონფერენციის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებლის ამხ. ა. ი. უგაროვის საანგარიშო მოხსენება. შემდეგ მოხსენებით სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პ. ი. ოვჩინიკოვი.

განსაკუთრებული საქმიანობის ატმოსფეროში დაიწყო კამათი მოხსენებათა გარშემო.

საკ. კ. პ. (ბ) პროლეტარული რაიკომის მდივანი ამხ. ლისოვი აღნიშნავს, რომ მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააძლიერა კომუნისტთა საბრძოლო აქტივობა, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების პერიოდში, და უდიდესი მუშაობა ჩაატარა ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტთა ბუდეების გამოაშკარავებისა და აღმოფხვრისათვის და ლენინ-სტალინის საქმის ერთგული ახალი კადრების დაწინაურებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. კუდრიავცევი ლაპარაკობს რაიონის პარტიული ორგანიზაციის დიდ მუშაობაზე ფაბრიკებსა და ქარხნებში მტრული ელემენტების აღმოფხვრისა და მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. იგი აკრიტიკებს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების საქმიანობას.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ბაიდუკოვი თავის სიტყვაში ეხება ქალაქის ავტოტრანსპორტის რადიკალურად გაუმჯობესების საკითხებს და მთელი რიგი წინადადებანი შემოაქვს ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და სხვა მანქანების სისწრაფის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე დედაქალაქისათვის მანქანების წამყვანთა ახალი კვალიფიკაციური კადრების მომზადების შესახებ. (საკდესი).

29 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

29 მაისს, პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე პირველი გამოდის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკოლხოს 1-ლი ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. კლიჩკოვი.

— ჩვენი პარტორგანიზაცია,—ამბობს ამხ. კლიჩკოვი,—შეიარაღდა ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით და ამხანაგი სტალინის მითითებებით და გადამწყვეტი ბრძოლა გაიარა ქარხანაში მტრული ელემენტების წინააღმდეგ.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ხელმძღვანელ სამეურნეო და პარტიულ სამუშაოზე დააწინაურა 560 კაცი. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ჩვენს პარტიას უდიდესი რეზერვები მოეპოვება. მაგრამ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ ახალ კადრებს საკმაო დახმარებას არ უწევს არც პარტიის რაიონული კომიტეტი, არც მოსკოვის საქალაქო კომიტეტი.

ლი ახალი კადრების დაწინაურებისათვის.

ამავე დროს ამხ. ლისოვი მიუთითებს არსებითს ნაკლოვანებებზე პარტიულ მუშაობაში. საწარმოთა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია გვერდს უვლიდა უმნიშვნელოვანეს სამეურნეო - პოლიტიკურ საკითხებს.

პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივანი ამხ. ბუბენკო ამბობს, რომ ხელმძღვანელებად დაწინაურებული ახალი ადამიანები მოითხოვენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. იგი აკრიტიკებს გაზეთ „რაბოჩაია მოსკვას“ იმისათვის, რომ მასში არა სჩანს პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

გუშინ კონფერენციის დილის სხდომას დაესწრო უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

29 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

საკ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. კუდრიავცევი ლაპარაკობს რაიონის პარტიული ორგანიზაციის დიდ მუშაობაზე ფაბრიკებსა და ქარხნებში მტრული ელემენტების აღმოფხვრისა და მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. იგი აკრიტიკებს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების მითითებებით და გადამწყვეტი ბრძოლა გაიარა ქარხანაში მტრული ელემენტების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ბაიდუკოვი თავის სიტყვაში ეხება ქალაქის ავტოტრანსპორტის რადიკალურად გაუმჯობესების საკითხებს და მთელი რიგი წინადადებანი შემოაქვს ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და სხვა მანქანების სისწრაფის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე დედაქალაქისათვის მანქანების წამყვანთა ახალი კვალიფიკაციური კადრების მომზადების შესახებ. (საკდესი).

30 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

30 მაისს მოსკოვის V საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გრძელდებოდა კამათი საქალაქო პარტიული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ჩერნოუსოვმა დამსწრეთ უამბო, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ რაიონის მშრომელნი ამხანაგი სტალინის თანხმობას სტალინის საარჩევნო ოლქში იყაროს კენჭი რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. 5 ათასზე მეტი აგიტატორი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ამჟამად სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევიან ამომრჩევლებს შორის. საკ. ალკ

ლის ორდენოსანი რასტორგუევი. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 2 ქალიშვილი—ამხ. კლეპიკოვა და მელენკოვა.

30 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

30 მაისს მოსკოვის V საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გრძელდებოდა კამათი საქალაქო პარტიული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო. 113 ჩაწერილიდან კამათში გამოვიდა 47 დელეგატი.

დიდის ყურადღებით მოისმინეს დელეგატებმა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ბრატანოვსკის გამოსვლა.

შეჩერდა რა პარტიული ორგანოების არჩევნების შედეგებზე, ამხ. ბრატანოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნები მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა და მათ საქმიანობა და ორგანიზაცია მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველნაირად გააძლიეროს ყურადღება სამშენებლო ორგანოების მუშაობისადმი, განსაკუთრებით იმ ორგანოების მუშაობისადმი, რომელთაც დავალებული აქვთ საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

შემდეგ ამხ. უგაროვი აყენებს ვაჭრობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სერიოზულ პრობლემებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაეუახლოვოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება უშუალოდ მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილს. შევქმნათ მომხმარებელთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები.

— პარტია და მთავრობა,—ამბობს ამხ. უგაროვი,—ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, რათა ფართო მშრომელი მასების ცხოვრება გახდეს უფრო უკეთესი, უფრო კულტურული, უფრო შეძლებული, რათა ადამიანები ცხოვრობდნენ უფრო მდიდრად, რათა მოსახლეობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნას სასებით და ყოველმხრივ.

საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებული სისრულით არის გაშუქებული პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის საკითხები.

— არავითარი სამეურნეო წარმატება არ იქნება მტკიცე,—სთქვა ამხ. უგაროვმა,—თუ ჩვენ დავიწყებას მივცემთ პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობას. ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ - მარტის პლენუმზე აშკარწყურავად დაგვანახვა, რომ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის.

მოსკოვის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გასულ წელს ცოტა რამ როდი გააკეთა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა პარტიულ მუშაობაში ის ნაკლოვანებანი, რომელთა შესახებაც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებებში. მოსკოვის ბოლშევიკებმა გააძლიერეს რევოლუციური სიფხიზლე, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს პოლიტიკურ უდარდელობასთან ბრძოლაში და შესძლეს აღმოეფხვრათ შინაპარტიული დემოკრატიის უაღრესად უხეში დამახინჯებანი. IV საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა იმ მხრივ, რომ გაგვეწმინდა პარტიული ორგანიზაცია ფაშიზმის ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტებისაგან და მოგვეხდინა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში.

სწვდებდა რა თავის რიგებს ხალხის მტრებისაგან, მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციამ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე წამოაყენა ახალი, ლენინ-სტალინის საქმის ერთგული კადრები. ერთი წლის განმავლობაში დაწინაურებულია 1.128 ამხანაგი: პარტკომების მდივნებად—695, მოსკოვის რაიკომების განყოფილებათა გამგეებად და ინსტრუქტორებად—251, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად და ინსტრუქტორებად — 44, სხვა მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებში წამოყენებულია 96 მუშაკი და სხვ.

საანგარიშო - საარჩევნო პარტიულმა კრებებმა გვიჩვენეს, რომ ახალმა კადრებმა ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანები, ღირსეულად ჩაბარეს გამოცდა — წარმატებით გაიარეს „შემოწმება ქვემოდან“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალი დადებითი მოვლენა — პარ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ნადეჟდა ბართლომეს-ასული ჭელიძე

ამხ. ნადეჟდა ბართლომეს-ასული ჭელიძე დაიბადა 1898 წ. ყოფ. ქუთაისის მაზრის სოფელ ჭუთათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობა-შივე დაჭარგა მამა და დედის სამზრუნველო შეიქნა.

ამხ. ჭელიძემ მიიღო დაბალი განათლება და ბავშვობიდანვე იძულებული იყო ფიზიკურ შრომას შესდგომოდა.

1928 წლიდან დღემდე ამხ. ჭელიძე მუშაობს ქ. წულუკიძის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში. ის მოწინავე სტახანოველია და სისტემატურად გადამეტებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. იგი მრავალჯერ დააჯილდოვეს ფულითა და ძვირფასი საჩუქრებით.

ამხ. ჭელიძე — საქ. კ. პ. (ბ) წევრია 1931 წ. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობას.

1937 წ. ამხ. ჭელიძე არჩეულ იქნა პარტიის წულუკიძის რაიკომის წევრობის კანდიდატად. (საქდესი).

ნინო ალექსანდრეს-ასული ღვინიაშვილი

ნინო ალექსანდრეს-ასული ღვინიაშვილი დაიბადა 1901 წელს სილნაღის რაიონის სოფელ საჭობოში. ამჟამად ის მუშაობს სოფელ საჭობოს კეცხოველის სახ. კოლმეურნეობაში, სადაც ქალთა ჯგუფს ხელმძღვანელობს.

1928 წლიდან მას განუწყვეტლივ ირჩევენ სოფლსაბჭოს წევრად. ნინო ალექსანდრეს-ასული ღვინიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თავისი რაიონის კოლმეურნეთა შორის და მოწინავე კოლმეურნედ ითვლება.

სანიმუშო მუშაობისათვის ნინო ალექსანდრეს ასული ღვინიაშვილი დაჯილდოებულია ფულითა და ძვირფასი საჩუქრებით. (საქდესი).

თედო ივანეს-ძე ლეგაშვილი

ამხ. ლეგაშვილი დაიბადა 1908 წ. თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, გლეხის ოჯახში. ოჯახის ძმიმე მატერიალურმა მდგომარეობამ ამხ. ლეგაშვილს არ მისცა სწავლის მიღების შესაძლებლობა. იგი ხანგრძლივ მოჯამაგირეობდა.

1930-1933 წლებში ამხ. ლეგაშვილი მსახურობდა მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში და მიიღო უმცროსი მეთაურის სახელწოდება.

1933 წ. ამხ. ლეგაშვილი კოლმეურნეობაში შევიდა, სადაც ბრიგადირად მუშაობდა.

როგორც აქტიური კოლმეურნე, იგი 1934 წ. სასწავლად გაგზავნა თელავის საბჭოთა პარტიულ სკოლაში.

1937 წელს იგი არჩეულია სოფელ ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც დღემდე მუშაობს.

ამხ. ლეგაშვილი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული წითელარმიაში ყოფნის დროს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

ამხ. თ. ლეგაშვილი კარგად მუშაობს, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ამხ. თედო ლეგაშვილი საკ. კ. პ. (ბ) წევრია 1932 წლიდან და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა.

იყალთოს № 107 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამხ. თედო ლეგაშვილი. (საქდესი).

დარიკო არჩილის-ასული ბიჭაშვილი

ამხ. დარიკო არჩილის-ასული ბიჭაშვილისა დაიბადა სოფ. სადმელის — ღარიბი გლეხის ოჯახში. სიღარიბის გამო მშობლებმა დარიკო III ჯგუფიდან მოსწყვიტეს სწავლას.

მისი ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. ლენინ-სტალინის პარტიამ შეუქმნა დარიკოს ადამიანური შრომის, განათლებისა და ცხოვრების პირობები კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს 1930 წელს სოფ. კვაცხუთში დ. ბიჭაშვილის ოჯახი პირველი გაერთიანდა კოლმეურნეობა „წინსვლაში“. დარიკო მოუწოდებდა მეზობელ დიასახლისებს — გაერთიანებულიყვნენ კოლმეურნეობაში და ერწმუნებოდა მათ კოლმეურნეობის უპირატესობაში. ამ კოლმეურნეობაში, ჩამოყალიბების დღიდანვე, დარიკო პირველი ბრიგადირი ქალი იყო, რომელმაც აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობის გეგმა ასოცი პროცენტით შეასრულა. ამის გამო ის 4-ჯერ არის დაჯილდოებული. ამხ. დარიკო სოფ. ხიდიკარის სას. საბჭოს წევრია და იგი აქტიურად მუშაობს.

კვაცხუთელ კოლმეურნეთა წინადადებას საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამხ. დ. ბიჭაშვილის წამოყენების შესახებ, ერთხმად დაუჭირეს მხარი წესის, ურავის, შუხლისა და ამბროლაურის კოლმეურნეებმა.

მარიამ მათეს-ასული კრიჭიაშვილი

მარიამ მათეს-ასული კრიჭიაშვილი დაიბადა 1905 წელს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, გლეხის ოჯახში.

1929 წლიდან იგი არის კოლმეურნეობაში.

1931 წლიდან 1935 წლამდე ჩათვლით ამხ. კრიჭიაშვილი სამკერვალო არტელს განაგებდა სოფ. შილდაში.

1935 წელს იგი წამოყენებულ იქნა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ სოფ. შილდაში. 1931 წელს ამხ. კრიჭიაშვილი შევიდა პარტიაში.

როგორც მოწინავე კოლმეურნე, 1937 წელს იგი გაგზავნა საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ საღამო-სამეურნეო სკოლაში. ყველაში დაბრუნების შემდეგ, მარიამ მათეს-ასული კრიჭიაშვილი არჩეულ იქნა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. მას კარგად მიჰყავს კოლმეურნეობის საქმე, მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ მრავალი წარმატებანი მოიპოვა.

ამხ. კრიჭიაშვილი აქტიურ საზოგაეობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა და კოლმეურნეთა შორის ავტორიტეტით სარგებლობს.

ყვარლის № 103 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მარიამ მათეს-ასული კრიჭიაშვილი. (საქდესი).

ამხ. ი. ნიკლაურის შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მე-16 ოლქის პირველი უბნის 500-მდე ამომრჩეველმა უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოუწყო თავის კანდიდატს ილია ანდრიას-ძე წიკლაურს.

— 12 ივნისი — ამბობს ამომრჩეველი ამხ. არშაკ ლუარსაბოვი — აყვავებული საქართველოს მშრომელი ხალხის ყველაზე სასიხარულო დღეა. ამ დღეს ჩვენ წარვგზავნით რესპუბლიკის საუკეთესო შვილებს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. ჩვენი კანდიდატი ამხ. ილია ანდრიას-ძე წიკლაური სახელოვანი შვილია სახელოვანი ორდენოსნის ანდრია წიკლაურისა, რომელიც 1937 წ. 12 დეკემბერს საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

სოციალისტური მშენებლობის იმ უბნებზე, სადაც ამხ. ილია მუშაობდა, მან საუკეთესოდ გაამართლა ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხის ნდობა, ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სპილენძის სატყეცი ქარხნის საამქროს უფროსია, აქ მან იშვიათი ენერგიულობა და საქმისადმი სიყვარული გამოიჩინა.

1937 წ. ამხ. ილიას აწინაურებენ თბილისის ქალაღდის ფაბრიკის დირექტორად. მან მუშაობის კარგი დაყენებით სწრაფად შესძლო ქარხანაში ავტორიტეტის მოპოება. 1938 წლის 10 მაისიდან ამხ. ი. წიკლაური დაინიშნა კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. ამხ. წიკლაური ღირსეული კანდიდატია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისა და ჩვენ მას ყველანი ერთსულოვნად მივცემთ ხმას.

ამხ. წიკლაურს მხურვალედ მიესალმნენ აგრეთვე დიასახლისები ოსიპოვა, აბასოვა, ინჟინერი გოლდერნესი და სხვ.

დიასახლისებმა მ. კასუმოვამ და ჭარტეროსიანმა და მე-19 სკოლის მე-4 კლასის ფრიადოსანმა პიონერმა იური პეტროსოვმა ამხ. წიკლაურს უძღვნეს თაიგულები.

საპასუხო სიტყვით ამხ. წიკლაური მხურვალედ მიესალმა ამომრჩევლებს და განაცხადა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში შეიძლება ჰქონდეთ მშრომელებს საამური და ბედნიერი ცხოვრება, დასვენების, სწავლის, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება (საქდესი).

ამხ. ე. ჭკაჩენკოს შეხვედრა ამომრჩევლებთან

30 მაისს კინო „ოქტომბრის“ დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ტელმანის № 10 საარჩევნო ოლქის № 5 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები, რათა შეხვდნენ და ახლოს გაეცნონ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, კალინინის სახელობის ქარხნის საწოლების საამქროს უფროსს, სტახანოველ ინჟინერს ამხ. ლუბა ტიხონის-ასულ ტკაჩენკოს.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა № 5 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ბოგდანოვმა, რის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ უბნის ნდობით აღჭურვილი პირი ი. ლაბაძე, მე-104 სკოლის მასწავლებელი მ. გოლოვანოვა, კალინინის სახელობის ქარხნიდან ა. პოპოვი და დიასახლისები: ა. მიხაილოვა, მ. ალექსანიანი და ნ. ბზიავაძე.

გამოსული ამხანაგები, ლაპარაკობდნენ რა ამხ. ტკაჩენკოს განვლილ წამებულ ცხოვრებაზე გამოსთქვამდნენ რწმენას, რომ მათი კანდიდატი გაამართლებს ხალხის ნდობას და კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის, მიცემულ დავალებათა ბრწყინვალედ შესრულებისათვის.

დასასრულ სიტყვით გამოსულმა ამხ. ლ. ტკაჩენკომ დამსწრეთ მოუთხრო თავისი ბიოგრაფიის დამახასიათებელი მომენტები და განაცხადა: მე მოხარული ვარ, რომ დავიმსახურე თქვენი ჩემდამი ასეთი დაფასება. ვეცდები პირნათლად შევასრულო ხალხის ეს უძვირფასესი ნდობა. კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებ მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კრების დამთავრების შემდეგ უჩვენეს კინო სურათი „ვოლგა-ვოლგა“.

გულთბილი შეხვედრა

29 მაისს საღამოს, უდიდესი სიხარულისა და ენთუზიაზმის ჟრიამულით იყო მოცული ვოროშილოვის სახელობის კლუბის დარბაზი (კომინტერნის ქ. № 5). აქ თავი მოუყრია კიროვის ოლქის მე-3 საარჩევნო უბნის 500-ზე მეტ ამომრჩეველს. მათ ყველას: ქალსა და მამაკაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, სიხარულის ელფერი დასთამაშებდათ სახეზე. მათი სიხარულის გრძნობებს უფრო აღვივებდა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** და მისი თანამებრძოლების პორტრეტებით, წითელ დროშებით და ლოზუნგ-პლაკატებით ლამაზად მორთული დარბაზი. ამ მხიარულობაში საამოდ გაისმოდა მუსიკის მომხიბლველი ხმა.

ამომრჩევლნი მოსულან აქ იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ შეხვდნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავჯდომარის, თბილისის რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის ორდენოსან არტისტს—ამხ. **ა. ვასაძეს.**

ტრიბუნაზე ამხ. ვასაძის გამოჩენისას ამომრჩევლები მას უმართავენ მხურვალე ოვაციებსა და შეძახილებს.

წინასაარჩევნო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რწმუნებულმა ამხ. **შ. ლილომაძემ.**

— ჩვენ, ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, — განაცხადა კრების გახსნისას ლილომაძემ,—12 ივნისს ყველა. როგორც ერთი კაცი, ერთსულოვნად მივალთ საარჩევნო უყუთებთან და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ალტალნური ბლოკის კანდიდატებს, რუსთაველის სახელობის ორდენოსან თეატრის ორდენოსან არტისტს—ამხ. ა. ვასაძეს.

ტრიბუნაზე ამხ. ვასაძის გამოჩენისას ამომრჩევლები მას უმართავენ მხურვალე ოვაციებსა და შეძახილებს.

წინასაარჩევნო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რწმუნებულმა ამხ. **შ. ლილომაძემ.**

— ჩვენ, ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, — განაცხადა კრების გახსნისას ლილომაძემ,—12 ივნისს ყველა. როგორც ერთი კაცი, ერთსულოვნად მივალთ საარჩევნო უყუთებთან და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ალტალნური ბლოკის კანდიდატებს, რუსთაველის სახელობის ორდენოსან თეატრის ორდენოსან არტისტს—ამხ. **ა. ვასაძეს.**

რაიონული პარტიული კონფერენციები

აბაშა

აბაშა, (საქდესი). 26—27 მაისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) აბაშის ორგანიზაციის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლის ამხ. პ. კორთხონჯიას საანგარიშო მოხსენება.

კამათში საანგარიშო მოხსენების შესახებ მონაწილეობა მიიღო 17 დელეგატმა.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო რაიონული კომიტეტის მუშაობა.

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია რაიკომის პლენუმში 25 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე კონფერენციამ აირჩია 4 დელეგატი.

შესდგა აბაშის რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **პ. კორთხონჯია,** მეორე მდივნად —ამხ. **ლ. ნადარეიშვილი,** მესამე მდივნად — ამხ. **გ. ბერთელი.**

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. **ა. მირცხულავამ.**

ზნაური

სტალინირი, (საქდესი). 27—28 მაისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიონული ორგანიზაციის კრება. საქმიანი და სპატიო პრეზიდიუმების არჩევის შემდეგ კრებამ მოისმინა პარტიის ზნაურის რაიკომის მდივნის ლეონიდ კაჯაიას საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის ანგარიში. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გაბარაევმა, ზასეევმა, ლოხოვმა, კულუხოვამ, პეტრიაშვილმა, კვინიკაძემ და სხვ. სასტიკად გააკრიტიკეს პარტიის რაიკომის მუშაობა. ეხებოდნენ რა ხალხის ამჟამად გამომჟღავნებული და განადგურებული მტრების ძირგამომთხრელ მუშაობას, მტრების, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ პარტიის რაიკომში, კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ რაიკომის ყოფილ ხელმძღვანელთა უმოქმედობას. რაიკომის ყოფილ ხელმძღვანელებს არ მიუღიათ ზომები მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

რაიკომის მუშაობა კრებამ არადამაკმაყოფილებლად სცნო. რაიკომის პლენუმი არჩეულია 25 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით. საოლქო კონფერენციის პირველ დელეგატად კრებამ მჭუხარე ოვაციით აირჩია ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და ამხანაგი **ლ. ბერია.**

პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. პარტიის ზნაურის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ლ. კაჯაევი,** მეორე მდივნად—ამხ. **გახიევი,** მესამე მდივნად —ამხ. **ბეკოევი.**

კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი.**

ზუგდიდი

ზუგდიდი, 31 მაისი (საქდესი). 28—29 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიონის მეექვსე კონფერენცია. კონფერენციამ სპატიო პრეზიდიუმში დიდი ოვაციით აირჩია ამხანაგი **სტალინი,** და პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე ამხანაგები: **ბერია, ხოზე დიასი, დიმიტროვი** და **ტელმანი.**

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ჩაჩიბაია, ხოლო სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით — ამხანაგი ნარმანია.

ამხ. ჩაჩიბაიას მოხსენება იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული, რომელმაც კონფერენციის ყურადღება გაამახვილა ხალხის მტრების მავნებლური მუშაობის შედეგების უახლოეს დროში ლიკვიდაციაზე. მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: თოლორაიამ, დადიანმა, ფარცვანიამ, ჯანაშიამ, კვარაცხელიამ და სხვებმა. სულ 30 ამხანაგმა.

მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიკომის მუშაობის ნაკლი; აღნიშნავდნენ სუსტ მხარეებს პარტიაში მიღების, თანამგრძნობთა შორის მუშაობის, კოლმეურნეობებში მუშაობის, პარტგანათლების და აგიტაციის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და პარტკაბინეტის მუშაობის დარგში.

კამათის დამთავრების შემდეგ — კონფერენციამ პარტრაიკომის მუშაობა შეფასა დამაკმაყოფილებლად და შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი, რის შემდეგ ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმი 31 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით.

29 მაისს შესდგა რაიკომის ახლადარჩეული პლენუმის სხდომა, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიურო ხუთი წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ჩაჩიბაია,** მეორე მდივნად — ამხ. **ცანავა** და მესამე მდივნად—ამხ. **ბეჭვაია.** საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობის დელეგატებად კონფერენციამ გადაწყვეტი ხმით აირჩია ამხანაგები: **ლავრენტი ბერია, ჩაჩიბაია, ცანავა, კაკულია, კაკუჩაია** და **გრ. ჭარჩავა** და სათათბირო ხმით: **ბუკია** და **კვარაცხელია.** კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ქ. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. **პ. შარიამ.**

დუშეთი

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

27-29 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიონის მე-7 პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ სპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით აირჩია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ხალხთა ბელადის, დიდი **სტალინის** მეთაურობით. მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლის ამხ. **გ. მიხანაშვილის** და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **მ. კვაჭაძის** მოხსენებანი.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. რუბაშვილმა, როსტიაშვილმა, ვერძეულმა, კარიაულმა, კილურაძემ და სხვ., სულ 31 დელეგატმა. მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ რაიონის პარტორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია, ხშირია პოლიტწრეების მეცადინეობათა ჩაშლის შემთხვევები (მაგალითად, მლაშეს, ბაზალეთის, მჭადიჯვრის, ოძისის, წითელ სოფლის და სხვ.), მსმენელები ხშირად აცდენენ მეცადინეობას, რის გამო განვლილი მასალის შეთვისების ხარისხი დაბალია და სხვ.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ დუშეთის რაიმიწგაზის მუშაობაში მრავალია სერიოზული ნაკლოვანებანი, როგორც მიწგანი, ისე ზოგიერთი პარტორგანიზაცია სუსტ დახმარება-ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნეობებს, რის შედეგად ზოგან ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება.

მოკამათეებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ დუშეთის რაიონის პარტორგანიზაციაში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა პარტიულ დავალებათა შესრულების შემოწმებას და ა. შ.

კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პრაქტიკული მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად. მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი რაიკომის შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის პლენუმში 25 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით. არჩეული იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია.

საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნენ ამხანაგები: **გ. მიხანაშვილი, დ. კილურაძე, ს. როსტიაშვილი,** სათათბირო ხმის უფლებით—ამხ. **ნ. ჭავთარაძე.**

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულია 5 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 1 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

29 მაისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის ახალი შემადგენლობის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **კირვალიძე,** მეორე მდივნად—ამხ. **მნაცაკანოვი** და მესამე მდივნად — ამხ. **ა. ა. აგაევი.**

გაშქიჩეთი

გაშქიჩეთი, (საქდესი). დაამთავრა მუშაობა რაიონულმა პარტიულმა კრებამ, რომელმაც მოისმინა ანგარიში პარტიის რაიკომის მდივნის ძოვალეობის აღმსრულებლის ამხ. ავაქოვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

ამხ. ავაქოვის მოხსენების შესახებ გამართულ კამათში გამოვიდა 33 კაცი, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები ამხ. ქობულოვი (საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის მოადგილე), წარჩინებული კოლმეურნე-ქალი გიური ალი-კზი, ტრაქტორისტები, კომბაინერები, სტახანოველი - მეცხოველეები და სხვ.

გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაცია, ამყარავნებდა რა ხალხის მტრებს, ძნიშვნელოვნად განმტკიცდა, მან მიაღწია მთელ რიგ სამეურნეო წარმატებებს, კერძოდ, მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. ამასთანავე აღნიშნავდნენ დიდ ნაკლოვანებებს ცალკეულ კოლმეურნეობებისა და რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში.

კამათის შემდეგ კრებამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული გადაწყვეტილებანი, მიმართული იმ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისაკენ, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნა კამათში.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის პლენუმი 19 წევრისა და 6 კანდიდატის შემადგენლობით. შემდეგ შესდგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ავაქოვი,** მეორე მდივნად — ამხ. **ნურიევი** და მესამე მდივნად — ამხ. **ავრამოვი.**

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-11 ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან ამხ. ავაქოვი და დანილიანი გადამწყვიტი ხმით და ამხ. გიური ალი-კზი სათათბირო ხმით.

ახალციხე

ახალციხე, (საქდესი). 27 მაისს მუშაობა დაამთავრა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის ორგანიზაციის მე-5 რაიონულმა პარტკონფერენციამ.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კირვალიძე.

საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 34 კაცმა.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის პლენუმი 19 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისია არჩეულია 3 წევრის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულია 5 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 1 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

29 მაისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის ახალი შემადგენლობის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ჯორჯაძე,** მეორე მდივნად—ამხ. **ბნაცაკანოვი** და მესამე მდივნად — ამხ. **ა. ა. აგაევი.**

სოციალისტური შეჯიბრებაში ვიწვევთ ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონის მეაბრეშუმეებს

სამტრედიის რაიონის სტახანოველმა მეაბრეშუმე ქალებმა გულდასმით განვიხილეთ წულუკიძის რაიონის სტახანოველ მეაბრეშუმე ქალთა წერილი ამხანაგ ლ. ბერიას მიმართ, რომელმაც ჩვენში დიდი სიხარული და ენტუზიაზმი გამოიწვია.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვს და გვაქოქმედებს ამხანაგ ლ. ბერიას მითითებანი მეამბრეშუმეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ამ მითითებათა ურყევად შესრულებით და ხალხის მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით სამტრედიის რაიონის კოლმეურნეებმა მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებას აბრეშუმის მოსავლიანობის გადიდებაში. მაგალითად, 1932 წელს ჩვენს რაიონში დამზადდა სულ 106.148 კილოგრამი პარკი. კოლოფზე გამოსავლიანობა უდრიდა 15,5 კილოგრამს. 1937 წელს კი სახელმწიფოს ჩავაბარეთ 268.964 კილოგრამი პარკი, თვითეული კოლოფი თესლიდან საშუალოდ 45,7 კილოგრამი.

შარშან ჩაბარებული პარკის ფასად სამტრედიის რაიონის მეაბრეშუმეებმა მივიღეთ 2.779.601 მანეთი, მასში ჯილდო-დანამატი 621.571 მანეთის რაოდენობით. ეს წარმატებები შედეგია იმისა, რომ მეაბრეშუმეობაშიც ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა. 1936 წელს რაიონში სულ 375 სტახანოველი მეაბრეშუმე იყო. 1937 წელს მათმა რიცხვმა 1.436-მდე მიაღწია.

სტახანოველმა მეაბრეშუმემ ქსენია ნიკურაძემ ერთი კოლოფი თესლიდან შარშან 45 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 96 კილოგრამი პარკი და მიიღო 1.433 მანეთი, კალინკა კოხრეიძემ ჩააბარა 87 კილოგრამი და მიიღო 1.512 მანეთი, საშა გიორგაძემ ჩააბარა — 97 კილოგრამი, ბაბუცა ლეჟავამ—95 და ა. შ.

სტალინური კონსტიტუციითა და ამ წარმატებებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ, სამტრედიის რაიონის სტახანოველი მეაბრეშუმე ქალები, ვიძლევით მტკიცე დაპირებას, რომ 1938 წელს სახელმწიფოს ჩავაბაროთ 276.600 კილოგრამი პარკი, თვითეულ კოლოფ თესლზე საშუალოდ 48 კილოგრამი, ნაცვლად 1937 წელს მიღებული 45,7 კილოგრამისა.

ამ ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ, რისთვისაც კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, გავზრდით სტახანოველთა რიგებს, დავეხმარებით ჩამორჩენილ მეაბრეშუმეებს. უფრო ავამაღლებთ ჩვენი აგროტექნიკური ცოდნის დონეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაგაბამთ ყველა მეაბრეშუმეებს 1938 წელს მეაბრეშუმეობაში მოცემული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩვენ, სამტრედიის რაიონის მეაბრეშუმე ქალები, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონების ყველა მეაბრეშუმე ქალებს.

ათას ოთხასი სტახანოველი მეაბრეშუმის სახელით: ნ. სიხარულიძე, ლ. ჯამბურია, ვ. გაბედავა, ო. გიორაქაძე, ე. ტალაბაძე, ნ. გეგეშიძე, ე. თარგამაძე, ს. გოლგაძე, ნ. მანჯგალაძე, პ. ცაგარეიშვილი, ე. ბანძავა, კ. მანჯგალაძე, ე. მანჯგალაძე, ნ. ბუაძე, ლ. ჟორჟოლიანი, ს. ნიკურაძე და ნ. ალფაიძე.

ზუგდიდის ლ. ბერიას სახ. ჩაის ფაბრიკა შეუდგა ახლად მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას.
სურათზე: ჩაის ფაბრიკის დამჭკნობი საამჭროს სტახანოველი ამხ. კოვრიგინა, რომელიც ნორმას 250 პროც. ასრულებს. „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

უმსგავსოებანი ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკაში ჩაის ფოთლის გადამუშავების გეგმის შესრულებას ჩაშლა მოელის. ფაბრიკის დირექტორის გეგეჭკორის ცუდი მუშაობის შედეგად ფაბრიკა მოუმზადებელი შეხვდა სეზონის დაწყებას.

ფაბრიკის სახურავის უვარგისობის გამო, გადამუშავების პროცესში მყოფ ჩაის ფოთოლს წვიმის წყალი უხვად ასველებს, რის შედეგად ფოთოლი მასობრივად ფუჭდება.

ფოთლის გადამუშავება ფაბრიკაში მთელი დღეღამით ჩერდება, რაც გამოწვეულია მთელი რიგი ნაწილების უვარგისობითა და უწესოდ მოწყობით.ეს კი იწვევს ჩაის პროდუქციის ხარისხის დაცემას.

წესრიგში მოყვანილი არ არის ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტები: ფაბრიკის ცენტრალურ პუნქტში, რომელიც 4 ტონა ფოთოლს იტევს, ხშირად 10-12 ტონა გროვდება, რის გამო ფოთოლი ფუჭდება და ლპება.

ფაბრიკაში გრეხვის წესს უხეშად არღვევენ. გრეხვა წესით 3-ჯერ უნდა ჩატარდეს, ფაბრიკის ტექნოლოგი ყიფიანი კი უდარდელად აცხადებს: ვინაიდან პროცესის დაწყებამდე ჩაის ფოთოლი ნაწევრად გადაწვარებით ცხელ მდგომარეობაში ჩაედინება, ამიტომ ერთხელ გრეხვაც საკმარისიაო.

ფაბრიკაში ჩაის ფოთლის ფერმენტაციის პროცესი ცუდად მიმდინარეობს. ფერმენტაციის ოთახში ტემპერატურა ხშირად 18 გრადუსამდე ეცემა, ფოთოლი ხმება და ფერმენტაციის პროცესი ფუჭდება.

ფაბრიკის ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელობა ფაბრიკის ცუდ მუშაობას ხსნის ფაბრიკის ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელის ამხ. ბ. ჯაფარიძის ავადმყოფობით. ეს მიზეზი ვერ გამოდგება, რადგან ამხ. ბ. ჯაფარიძე ავადმყოფობის გამო ფაბრიკაში ხშირად არ გამოდის.

ფაბრიკის ცუდი მუშაობის გამო ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტებში ფოთოლი ფუჭდება, ფაბრიკა ვერ ამუშავებს მიღებულ ფოთოლს და ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტებში ფოთოლი ლპება.

ფაბრიკის ცუდი მუშაობის გამო

„ჩვენ გვყავს კარგი ჯარისკაცები, მამაცი და ძლიერი ხალხი“

ბენეშის განცხადება

პარიზი, 31 მაისი (საკლესი). „ორდრი“ აქვეყნებს ინტერვიუს, რომელიც ამ გაზეთის კორესპონდენტს მისცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენეშმა.

ბენეშმა განაცხადა: „ჩეხოსლოვაკიის ხალხმა, როგორც თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონმა გადასწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველჰყონ საშინაო და საგარეო მშვიდობიანობა. იგი დასთანხმდება დააკმაყოფილოს ყველა სამართლიანი მოთხოვნა და დასთანხმდება მიიღოს ყველა მოთხოვნა, რომელთა შეთავსებაც შეიძლება საზოგადოებრივ წესრიგსა და ნაციონალურ უშიშროებასთან. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ხალხი არ დასთმობს თავისი ტერიტორიის არცერთ დუიმს და არ დართავს ნებას, რომ ჩეხოსლოვაკიის რომელიმე ნაწილი მოქცეული იქნას უცხოეთის მთავრობის გავლენაში. ჩვენ გვყავს კარგი ჯარისკაცები, მამაცი და ძლიერი ხალხი. ჩვენი ხალხი სიმხდალეს არ გამოიჩენს“.

ჰენლაინის შანტაჟისტური მუქარა

ვარშავა, 31 მაისი (საკლესი). დღეს „გაზეტა პოლსკა“ მოწინავე სტატიის სახით ათავსებს ბერლინიდან მიღებულ კორესპონდენციას, მიძღვნილს გერმანია – ჩეხოსლოვაკიის კონფლიქტისადმი.

კორესპონდენციის ავტორი სმოგოჟევსკი, რომელიც ჩვეულებრივ კარგად არის ინფორმირებული გერმანიის ფაშისტური წრეების განწყობილების შესახებ, დაჟინებით იძლევა გაფრთხილებას „ილუზიის“ წინააღმდეგ, თითქოს არსებობდეს იმ დაძაბულობის შენელების შესაძლებლობა, რასაც ადგილი აქვს ბერლინისა და პრაღის ურთიერთობაში.

კომენტარიებს უკეთებს რა ჰენლაინის მიერ ინგლისელ ჟურნალისტის პრაისისთვის მიცემულ ინტერვიუს, რომელშიაც ჰენლაინი იმუქრება ჩეხოსლოვაკიისაგან სუდეტის ოლქის ჩამოშორებას და მის შეერთებას გერმანიასთან, სმოგოჟევსკი სწერს:

„ჰენლაინის ეს გულახდილი განცხადება უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე ხმები გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გერმანიის ჯარის კონცენტრაციის შესახებ. იგი მით უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს, რომ ჰენლაინის პრეტენზიებს ზურგს უმაგრებს მთელი მესამე იმპერია“.

თავისი ბერლინელი „მეგობრების“ ტენდენციების სრულ შესაბამისად სმოგოჟევსკი ყოველნაირად ცდილობს დააშინოს ჩეხოსლოვაკია და ამ მიზნით იმეორებს ჰენლაინის ყველა შანტაჟისტურ მუქარას. ამასთან სმოგოჟევსკი ცინიკურად აღიარებს, რომ „პრაღის მიერ ჰენლაინის მოთხოვნების დაკმაყოფილება ფაქტიურად ჩეხოსლოვაკიის საზღვრების რევიზია იქნებოდა“.

დასასრულ სმოგოჟევსკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ჰენლაინთან, ე. ი. ბერლინთან პრაღის შეთანხმების შანსები, ძალთა არსებული თანაფარდობის პირობებში, სრულიად უმნიშვნელოა“.

მდგომარეობის ანალოგიურ შეფასებას იძლევა დღეს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი, რომელიც გერმანიის ფაშისტური წრეების მიერ ინსპირირებულ დეპეშაში სწერს:

„გერმანიის კომპეტენტური ინსტანციების აზრით, ჩეხოსლოვაკიის პრობლემა ისევ ღიად რჩება და საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობისათვის. შემცდარი არიან ისინი, ვინც განაგრძობს ლაპარაკს ატმოსფეროს გაწმენდის შესახებ“.

ახალი ჯარი და სამხედრო საჭურველი მეამბოხეთათვის

პარიზი, 31 მაისი (საკლესი). როგორც საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, ესპანელი მეამბოხეები მიუხედავად იმისა, რომ მათ განუწყვეტლივ მოსდით იტალიიდან და გერმანიიდან უდიდესი შეესება იარაღით, საჭურველით და ჯარით, კვლავ მწვავე სიძნელეებს განიცდიან, ვინაიდან ინტერვენტებისა და მეამბოხეთა ზარალი ფრონტებზე ფრიად მნიშვნელოვანია.

როგორც „ევრი“ იუწყება, მუსოლინი გუშინ ეთათბირა ფრანკოს ელჩს—გენერალ ასტრაის, რომელიც რომში ჩამოვიდა. საუბარი ეხებოდა ახალი ჯარისა და სამხედრო საჭურველის გაგზავნას. იტალიელები ამბობენ, — სწერს გაზეთი,—რომ ასტრაიმ მუსოლინის გადასცა გენერალ ფრანკოს ფრიად მნიშვნელოვანი წერილი. ჩვენს მიერ გენუიდან მიღებული ცნობები ნათელს ჰფენენ ამ წერილის შინაარსს. იტალიელთა ორი გემი მზად არის გენუიდან კადიქსს გასამგზავრებლად. ერთერთი ამ გემით გაიგზავნება 700 ტექნიკოსი, მფრინავი და მექანიკოსი; მეორე კი სამხედრო საჭურველით დაიტვირთება.

საჰჯანყებო მოძრაობა აბისინიაში

რომი, 30 მაისი (საკლესი). ამ უკანასკნელ ხანს აქ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ აბისინიის პროვინცია გოჯამში აჯანყებაა, დასტურდება მოსახლეობისადმი მოწოდებით, რომელიც დღეს გამოქვეყნდა ადის-აბებაში ვიცე-კოროლის სახელით. გაზეთები იუწყიბიან, რომ სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციების შედეგად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ თვეს ჯოჯამში აბისინიის ეს რაიონი თითქოს „სავსებით დაწყნარებულია“.



ჩეხოსლოვაკიის არმიის მანევრები.
სურათზე — ჯარისკაცები ბეტონირებულ ტრანშეებში „სოიუზფოტო“

ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა კაბინეტის სხდომა

პრაღა, 31 მაისი (საკლესი). გუშინ შესდგა მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნაციონალური კოდექსის განხილვას. როგორც გაზეთი „პრაგერ ტაგებლატი“ იუწყება, მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებული კოდექსის ხელმეორედ განხილვა გამოწვეულია სუდეტელ გერმანელთა ჰენლაინის პარტიის მთელი რიგი მოთხოვნებით, რომლებიც მისმა ხელმძღვანელებმა კუნდტმა და სხვებმა წამოაყენეს გოჯასთან უკანასკნელი შეხვედრის დროს. კაბინეტის გადაწყვეტილების შესახებ არაფერს იუწყებიან. სავსებით შესაძლებელია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ზეგავლენით ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გადასწყვიტა შემდგომ დათმობაზე წავიდეს ჰენლაინელების მიმართ. სუდეტელ გერმანელთა პარტიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა და ზოგიერთი შესწორების შემდეგ, რომლებიც მოლაპარაკებიდან გამომდინარეობენ, კოდექსი 15 ივნისს განსახილველად წარედგინება პარლამენტს.

დამახასიათებელია, რომ სლოვაკელი ავრარიების ორგანო „სლოვენსკი გლასი“, იუწყება რა პრემიერის შეხვედრაზე ჰენლაინის პარტიის ხელმძღვანელებთან, მოუწოდებს ახალ ორიენტაციისაკენ ჰიტლერის აგენტურის მიმართ ჩეხოსლოვაკიაში.

„გასული კვირის ყველაზე დიდი მოვლენა იყო,—სწერს გაზეთი, — მთავრობასა და ჰენლაინის პარტიას შორის კონტაქტის დამყარება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება ჰენლაინთან და მის პარტიასთან. მათ უნდა ვუყურებდეთ არა როგორც სახელმწიფოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ურყეობის დამრღვევეთ, არამედ როგორც პოლიტიკურ ფაქტორს, რომელთანაც შეიძლება შეთანხმება, რომელთანაც შეიძლება თანამშრომლობა“.

ჩინელთა ჯარები გარსშემოერტყნენ იაპონიის მე-14 დივიზიას

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ. 30 მაისი (საკლესი). ლუნხაის რკინიგზის აღმოსავლეთ უბანში, კაიფინისა და ლანფინის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, ჩინელთა ჯარი წარმატებით ანვითარებს ოპერაციებს. მთელი რიგი კონტრიერიშების შედეგად, ჩინელთა ჯარი გარსშემორტყა იაპონელთა დაახლოებით 10 ათასი კაცისაგან შემდგარ ჯარს, რომელიც დოიხარას მე-14 დივიზიას ეკუთვნის. 29 მაისამდე უკვე განადგურებულია ამ დივიზიის არანაკლებ 3 ათასი კაცი. ჩინელთა ჯარი წარმატებით აღკვეთს იაპონელთა სხვა ნაწილების ყოველივე ცდას დაეხმარონ მე-14 დივიზიას.

ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის დასავლეთით მდებარე რაიონში იაპონელთა ჯარი ცდილობდა გადაელახა მდინარე ხუანხე, რათა დასავლეთიდან შემოევლო ჯენჯოუსათვის (ძნიშნელოვანი სტრატეგიული პუნქტი). მაგრამ მე-14 დივიზიის გარშემორტყმის საშუალებით ჩინელთა ჯარმა ჩაშალა ეს მანევრი. იაპონელთა ჯარმა ამ რაიონში არამარტო ვერ მოახერხა გადაელახა მდინარე ხუანხე, არამედ ჩინელთა ჯარმა იგი გამოაძევა მინსიანიდან (ჯენჯოუს ჩრდილო-დასავლეთით—ხუანხეს ჩრდილო ნაპირზე). ჩინელთა ჯარი ამ სექტორში განაგრძობს კონტრშეტევას ხუაიცინისა და ცინხუას წინააღმდეგ.

შანხაის პროვინციის სამხრეთ ნაწილის ფრონტზე ვითარდება ჩინელთა ჯარის კონტრშეტევა დატუნ-პუჯოუს რკინიგზის გასწვრივ. დასტურდება, რომ ჩინელებმა აიღეს იუნხი (ტუნგუანის ჩრდილოეთით).

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 30 მაისი (საკლესი). ანხუეის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იაპონელთა ჯარი, რომელიც დაახლოებით 5 ათასი კაცისაგან შესდგება აწარმოებს შეტევას ქალაქ ბოსიანზე (ჩაოხუს ტბის ჩრდილო-დასავლეთით). ჩინელთა ჯარი განაგრძობს კონტრშეტევას ლუჯოუს რაიონში. იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით.

ლონდონი, 30 მაისი (საკლესი). გაზეთი „დეილი ექსპრესის“ სპეციალური კორესპონდენტი ჰონკონგიდან იუწყება, რომ შანხაის ჩრდილოეთით 15 კილომეტრის მანძილზე მდებარე ტერიტორია სავსებით ჩინელ პარტიზანთა კონტროლქვეშ არის.

ჩინელთა თვითმფრინავები იაპონელთა ჭერიპორიაზე

ლონდონი, 31 მაისი (საკლესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 30 მაისს ღამით კუნძულ კიუსიუზე (იაპონიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) შეამჩნიეს ჩინელთა 2 თვითმფრინავი. ასტყდა საჰაერო ბრძოლა, რაც დილამდე გაგრძელდა. დაწვრილებითი ამბავი არ იციან.

ჩინეთის ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვება

ხანკოუ, 31 მაისი (საკლესი). ჩინეთის ავიაციამ დღეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იაპონიის 18 ყუმბარმზიდი 36 ავიაგამანადგურებელის თანხლებით შეეცადა თავდასხმა მოეხდინა ხანკოუზე. ჰაერში იაპონიის თვითმფრინავებს ჩინეთის ავიაცია შეხვდა. დიდ სიმაღლეზე მოხდა ბრძოლა, რომელშიაც ჩინელმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლის დიდი ოსტატობა გამოიჩინეს. ბრძოლის შედეგად ჩინელებმა ჩამოაგდეს იაპონიის 12 ავიაგამანადგურებელი, დანარჩენები ყუმბარმზიდებთან ერთად უკუიქცნენ. მათი დევნის დროს ხუკოუს რაიონში, 25 კილომეტრზე ძუძიანის აღმოსავლეთით (ძიანსის პროვინციის ჩრდილო ნაწილი), ჩინეთის ავიაგამანადგურებლებმა იაპონიის კიდევ 8 ყუმბარმზიდი ჩამოაგდეს. ჩინეთის ავიაციამ ბრძოლაში დაჰკარგა 2 ავიაგამანადგურებელი. მფრინავებმა პარაშუტით გადაირჩინეს თავი. იაპონიის თვითმფრინავებმა ვერცერთი ყუმბარის ჩამოგდება ვერ მოახერხეს.

იაპონელთა მხეცობა

ლონდონი, 31 მაისი (საკლესი). როგორც გაზეთ „დეილი ჰერალდის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, ჩინეთის სამხრეთ სანაპიროსთან 1938 წლის იანვრიდან მაისამდე იაპონელებმა ჩასძირეს ჩინელთა 1000-ზე მეტი სათევზაო ნავი. ამასთან დაიღუპა არანაკლებ 4.000 კაცისა.

იტალიელთა დანაკლისი ესპანეთში

რომი, 31 მაისი (საკლესი). ესპანელ მეამბოხეებთან „სოლიდარობის დღის“ ზეიმობასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სია იმ დანაკლისისა, რომელიც იტალიელებმა განიცადეს მალაგაში ბრძოლის დაწყების დროიდან (1937 წლის თებერვლიდან 1938 წლის მაისის დამლევამდე). ამ სიის თანახმად, მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რიცხვი შეადგენს 9.541 კაცს.

საბჭოთა პიანისტების ბრწყინვალე გამარჯვება

პირველი ჯილდო მიეკუთვნა ემილ გილელსს

ბრიუსელი, 1 ივნისი (საკლესი). 31 მაისს დაახლოვებით 23 საათზე, დამთავრდა ეჟენ იზაის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის მესამე ტური. შუადამისას (ღამის 2 საათზე მოსკოვის დროით) ჟიურიმ გამოაცხადა კონკურსის შედეგები. პირველი სამი ადგილიდან ორი საბჭოთა პიანისტებს ერგო და სწორედ ამით მოიპოვეს მათ ბრწყინვალე გამარჯვება უძნელეს შეჯიბრებაში მსოფლიოს საუკეთესო პიანისტებთან. პირველი პრემია მიესაჯა ემილ გილელსს (სსრ კავშირი), მეორე—მერი ჯონსტონს (ინგლისი) და მესამე — იაკობ ფლიერს (სსრ კავშირი).

სამეფო საოპერო თეატრი გაუღიღი იყო ხალხით, რომელიც მოუთმენლად მოელოდა კონკურსის შედეგების გამოცხადებას.

„ერმაკი“ ყინულებში

ყინულმჭრელი „ერმაკი“, 30 მაისი (საკლესის სპეც. კორ. რადიო). „ერმაკი“ განაგრძობს მძიმე კოპიტი ყინულის გადალახვას. ბრიტანეთის სრუტეში განვლილია კიდევ 2 მილი ძნელი გზა. დღეს 14 საათზე გუშაგებმა შენიშნეს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ყინულოვანი მთიდან ჩამოდიოდნენ და მათკენ მოეშურებოდნენ. „ერმაკის“ გემბანზე მოვიდნენ მეზამთრეები „ტიხაიას“ ნავსადგურიდან და მოზამთრე გემებიდან, მოსულთა შორის არის „ტიხაიას“ ნავსადგურის უფროსი ამხ. კორპუსოვი. შეხვედრით ყველანი გახარებული არიან.

მოსკოვის მეტროს სადგურ „დინამოსთვის“ მოჭანდაკე ე. ა. იანსონ-მანიზერმა დაამთავრა ბარელიეფების 8 ესკიზის დამუშავება. ბარელიეფები დაიდგმება მეტროს ვესტიბიულებში მიწის ზედით. მათი ფიგურის სიმაღლე 2,5 მეტრია. **სურათზე** — ერთერთი ბარელიეფის ესკიზი.



ახტალის კურორტის მთავარი მისასვლელი (მარცხნივ — პოლიკლინიკაა, მარჯვნივ — სასტუმროა).
„სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

„აბესალომ და ეთერი“ დიდ თეატრში

მოსკოვი (საკ. კორ.). პოეტმა რიურიკ ივნევმა მთლიანად დაამთავრა ზ. პ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ რუსულ ენაზე თარგმნა და ჩაბარდა იგი სსრ კავშირის დიდ თეატრს.

თეატრის დირექტორმა ამხ. ლეონტიევმა ოპერის დადგმის შესახებ თქვენს კორესპონდენტს აცნობა შემდეგი:

— ჩვენს თეატრში დასადგმელად მიღებული ზ. პ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, უკვე გადაცემულია წარმოებაში და მიდის რეპეტიციები. ოპერის დასადგმელად მოწვეული გვყავს რეჟისორი, რუსეთის სახალხო არტისტი რ. ნ. სიმონოვი, რომელიც უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას. ოპერას დირიჟორობს ორდენოსანი მელიქ-ფაშაევი. იმის გამო, რომ კაპიტალური რემონტისათვის დიდი თეატრი იხურება, ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ნაჩვენები იქნება მომდინარე წლის დამლევს ჯერ დიდი თეატრის ფილიალში, ხოლო 1939 წლის დამდეგს თვით დიდ თეატრში.

1939 წელს დიდი თეატრის სცენაზე დაიდგმება ავრეთვე ზ. პ. ფალიაშვილის მეორე ოპერა „დაისი“. ამ ოპერასაც პოეტი რ. ივნევი სთარგმნის რუსულ ენაზე.

რადიოლექციები

დაუსწრებელი პარტხვავლების ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება 1938 წლის ივნისში გადასცემს შემდეგ რადიოლექციებს:

3 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემენ ემ. იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში“ (1930—1934 წ.წ.) — ლექცია პირველი, № 25.

5 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრკ-ის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ი. ვ. კუზნეცოვის ლექცია თემაზე: „ალექსანდრე პირველის მონარქია. საქართველოს შეერთება რუსეთთან. 1812 წლის ომი“ (ლექცია პირველი, № 19).

7 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადაცემენ ვ. ლ. ბისტრიანსკის ლექციას თემაზე: „მოძღვრება პარტიის შესახებ“ (ლექცია პირველი, № 19).

9 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში რუსულ ენაზე გადაცემული იქნება ემ. იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტია ჭეყანის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში“ (1926—1929 წ.წ.) — ლექცია მეორე, № 24.

11 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში ქართულ ენაზე გადასცემენ ემ. იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში“ (1930—1934 წ.წ.) —ლექცია მეორე, № 26.

13 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ი. ვ. კუზნეცოვის ლექცია თემაზე: „ალექსანდრე პირველის მონარქია. საქართველოს შეერთება რუსეთთან. 1812 წლის ომი“ (ლექცია მეორე, № 20).

15 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება პროფ. შესტაკოვის ლექცია, თემაზე: „დეკაბრისტები“ (ლექცია № 21).

17 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის და მესაგნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ ემ. იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში“ (1930—1934 წ. წ.) — ლექცია პირველი, № 25.

19 ივნისს იგივე თემა გადაცემული იქნება ქართულ ენაზე (მეორე ლექცია, № 23).

21 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადასცემენ ვ. ლ. ბისტრიანსკის ლექციას თემაზე: „მოძღვრება პარტიის შესახებ“ (ლექცია მეორე, № 14).

23 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ი. ვ. კუზნეცოვის ლექცია თემაზე: „ნიკოლოზ პირველის მონარქია. 30-40-იანი წლების მოძრაობა. 1848 წლის რევოლუცია დასავლეთ ევროპაში. მარქსი და ენგელსი“ (ლექცია პირველი, № 22).

25 ივნისს იმავე თემაზე გადაცემული იქნება მეორე ლექცია № 23.

27 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადასცემენ პროფ. შესტაკოვის ლექციას თემაზე: „ნიკოლოზ პირველის საგარეო პოლიტიკა. კავკასიის დაპყრობა. 1853-1856 წლების ყირიმის ომი (ლექცია № 24).

29 ივნისს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება პროფ. შესტაკოვის ლექცია თემაზე: „მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა და საგლეხო რეფორმის მომზადება“ (ლექცია № 25).

შავი წვიმა

30 მაისს დილით თბილისელები საკმაო რვა ერთმა უცნაურმა გარემოებამ. მოხუ ლიყო შავი წვიმა და დაქალაქებისს მცენარეები, ბარავები, სარეცხი და აივლაფერი, რაც წვიმაში მოხვდა. თეფრ ტანსაცმლიანი მოქალაქენიც 29 მაისს დამით სახლში დაბრუნდნენ ტალახით დასვრილნი. მოდოდა ტალახიანი წვიმა, ანუ, როგორც ხალხი უწოდებს, „შავი წვიმა“.

რამ გამოიწვია ეს ტალახიანი, „შავი წვიმა“?

ამ საკითხზე საქართველოს ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამმართველოს ხანგრძლივი პროგნოზების განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

— ამ რამდენიმე დღის წინათ შუა აზიის უდაბნოებიდან და ირანიდან საქართველოში შემოიჭრა მაერის გრილი ნაკადი, რომელმაც თან შემოიტანა უდაბნოებში ძლიერი ქარიშხლებისა და სმერჩის შედეგად მაღლა ატაცებული მტვერი. ეს მტვერი ისე მიკროსკოპულადაა დაფხვნილი, რომ დიდხანს ჩერდება მაერში და არ ილექება. მტვრის დიდი მასა გვეჩვენება ფოლადისფერ განუჭვრეტ ნისლად. რამდენ ხანს გასძლებს ასეთი ნისლი, ამის გათვალისწინება ძნელია. მისი განლევნა შეუძლიათ საწინააღმდეგო მიმართულების მაერის ნაკადს ან ხანგრძლივ წვიმას, თუ იგი ყველგან მოვა.

ეს ნისლი, როგორც ითქვა, შემოსულია აღმოსავლეთიდან და მას დაკავებული აქვს სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ საქართველო და ჩრდილო კავკასიის ნაწილი. ერთ რაიონში რომ მოვიდეს წვიმა, მტვერიანი ნისლი მაინც არ გაჭრება, რადგან იგი მეორე რაიონიდან გადმოინაცვლებს ადგილს. წვიმის წყალი კი ტალახიანი იქნება და მცენარეებს (ნათესებს) ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

საქართველოში ასეთი ნისლი უკანასკნელად 1916 წელს იყო.

ჟურნალი „მნათობი“ № 4

ამსწინათ გამოვიდა ჟურნ. „მნათობის“ № 3. ახლახან რედაქციამ მიიღო „მნათობის“ მორიგი მეოთხე ნომერი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც მესამე და არც მეოთხე ნომერი ბაზარზე არ აოის გასასყიდად გამოტანილი. ეს სახელგამის ცუდი მუშაობის ნაყოფია. ჟურნალი თაიის დროზე უნდა გამოდიოდეს გასასყიდად. საჭიროა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციამაც აზრუნოს იმაზე, რომ ისედაც დაგვიანებული ნომერი ბაზარზე დაჩქარებით გამოიტანონ.

„მნათობის“ მეოთხე ნომერში მოთავსებულია შემდეგი მასალა: ლ. ბერია—ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, ა. ქუთათელი — ჩემი სამშობლო (ლექსი), კ. გამსახურდია — ევროპა გალაშია (თავი რომანიდან), ო. თუმანიანი — ახთამარი (ბალადა), გ. ბარნოვი — შურისგება, ვლ. მაიაკოვსკი—კარგია (თავი პოემიდან), კრიტიკა-ბიბლიოგრაფია: ლ. ასათიანი — აკაკი წერეთლის პოეზია, დ. შამათავა — გ. ჯალადიდელი. შ. ჩხეტია —ისტორიული საბუთები ევდოშვილის შესახებ და სხვ.

პარტკალენდარი

პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს გრიგოლ ანდრიას-ძე ჩიხლაძეს და ისაკი ესტატეს-ძე გზირიშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. საყურაშვილთან (მეორე სართული).

პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. ელადიმერ მაქსიმეს-ძე თოდუას, გრიგოლ მიხეილის-ძე თელიას, აპოლონ გიორგის-ძე რაზმაძეს და გიორგი ლევანის-ძე ქაჯაიას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 21)

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ პარტიული ბილეთი № 1508473, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ არამ გრიგორის-ძე ოდაბაშევის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 1518850, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მიერ 1936 წლის 25 მაისს გიორგი მანუკის-ძე ზაბარიანცის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული
ძირეული პრესის მუშაკთა კურსების
მსმენელთა მესამე მიღება შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პრ. № 16) ხვალ, 3 ივნისს, საღ. სრულ 8 საათზე.
მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. ხეზონი

2/VI	წარმოდგენა 18	სამშობლო
3/VI	წარმოდგენა 186	სულელი
4/VI	წარმოდგენა 187	სულელი

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

2/VI	ოუდმ ადგ. ტალ № 205 ერთდრ. ბილ. სერია № 5	წყნარი დონი
3/VI	ოუდმ ადგ. ტალ. № 206 ერთდრ. ბილ სერია № 3	ბალეტი მალთაყვა
4/VI	მუდმ. ადგ. ტალ. № 207	ქარმენ

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

2/VI	ნინოშვილის გურია
3/VI	ნაკერწკლიდან

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ახალი ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხ. პროსპ. 91	დიდი ხმოვანი ფილმი კოსმოსმოლსი სეანს. დასაწყ. საზამთრო. 8-30, 10 30; საზაფხ. – 8-50, 11.
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	ახალი ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯაშვილის, 8	ახალი ხმოვანი ფილმები 1) ჰედრო, 2) უცხოელი ქალი. სეანსები – 6-30, 8, 9-30, 11.
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	საზაფხ. შენობაში დაკარგული სამოთხე საზამთ. შენობ. კარო
არსენა რომანულური ქ., № 9	ხმოვანი ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი ძარიშხალი დასაწყ. 8 30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ახალი ხმოვანი ჟურნალი № 23

ენდოკრინოლოგიის და ორგანოთერაპიის უკრაინის ცენტრალური ინსტიტუტი. ხარკოვი, არტემის ქ., 10—12
ელენთის ჰიპერფროფიის, ქრონიკული მალარიის, ნაწლავების ქრონიკული პროცესის დროს
იხმარება

ექსტრაქტი (სალელეთე) იყიდება სსრ კავშირის სანადიმოგიენის ყველა აფთიაქსა და მაღაზიაში.
თუ ადგილებზე არ იყოს, მიმართეთ თბილისის საავთიაქო სამმართველოს
100

საქშიდევთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
2 ივნისს
ლაღამო-ქონცერტი
2 დიდ განყოფილებად
დაწვრილებითი აფიშებში დასაწყისი საღამოს 9 ს.
3 ივნისი ტალონი № 3
ხალხური სიმღერისა და ცეკვის საღამო
ბაღში ღია ესტრადა—ყოველდღე პროგრამა ბაღის შესასვლელი ბილეთებით. დასაწყისი საღ. 10 ს. 70

ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საყურადღებოდ
ა. წ. 5 ივნისს ძ. მინსკში შესდგება სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.
ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებული იყო 20 მაისისათვის მთლიანად დაერიგებინა ხელისმომწერთათვის ამ სესხის მათ მიერ შესყიდული ობლიგაციები.
თუ, მიუხედავად ამისა, ეს ობლიგაციები ხელისმომწერთ დღემდე არ მიუღიათ, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით ჩააბარონ შემნახველ სალაროში ხელისმომწერთათვის დაურიგებელი ობლიგაციები **არა უგვიანეს 1938 წლის 4 ივნისისა ხელისმოწერთა სიის თანდართვით.**
სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ხელისმომწერლებთან ობლიგაციებზე ანგარიშის გასწორების აღნიშნული წესის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.
სსრ საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო.
1197

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო იუწყება
რომ მის საჯარო სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად 25 ივნისს სოკოჭიგირის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დისერტაციას დაიცავს ექ. **